

ლუი ალთუსერი 1970

იდეოლოგია და იდეოლოგიური სახემწიფო აპარატები*

საწარმოო პირობების კვლავწარმოება

როგორც მარქსმა თქვა ბავშვმაც კი იცის, რომ საზოგადოებრივი ფორმაცია, რომელიც არ ახდენს საწარმოო საშუალებების კვლავწარმოებას განწირულია. წარმოების ძირითადი პირობა საწარმოო პირობების კვლავ წარმოებაა.

ამით ჩვენ ვეხებით ერთდროულად ძალიან ნაცნობ და ამავე დროს აშკარად იგნორირებულ სფეროს. მარტივი საწარმოო პრაქტიკა და ხედვა წარმოებაზე ინტეგრირებულია ჩვენ ყოველდღიურ ცნობიერებაში, მაგრამ რთულია (თუმცა არა შეუძლებელი) განსჯა კვლავწარმოების, თუმცა ყველაფერი ის რაც ამ საკითხის მიღმა ასევე იმეორებს აბსტრაქტს.

ჩემი აღწერილობის (ნებისმიერი სოციალური ფორმაცია წარმოიქმნება წარმოების გაბატონებული ფორმიდან) გასამარტივებლად მე შემიძლია ვთქვა, რომ წარმოების პროცესი გულისხმობს: შრომას საწარმოო ძალების განსაზღვრულ საწარმოო ურთიერთობებში.

ეს გვაჩვენებს, რომ იმისთვის რათა არსებობდეს სოციალური ფორმაცია საჭიროა იგი ახდენდეს საწარმოო საშუალებების კვლავწარმოებას. წარმოებისთვის საჭირო: 1- საწარმოო ძალების 2- არსებული საწარმოო ურთიერთობების კვლავწარმოებას.

საწარმოო საშუალებების კვლავწარმოება

ყველა (ბურჟუა ეკონომისტების და თანამედროვე მაკროეკონომიკის თეორეტიკოსების ჩათვლით) აცნობიერებს მარქსის კაპიტალის მე-2 თავში განხილულ საკითხს. რომ წარმოება შეუძლებელია საწარმოო საშუალებების კვლავწარმოების გარეშე.

* მთარგმნელი: საბა ტლაშაძე.

საშუალო ეკონომისტმა, ვინც არაფრით არ განსხვავდება საშუალო კაპიტალისტისგან იცის, რომ წარმოებისთვის არსებითად მნიშვნელოვანია, წარმოების პროცესში გამოყენებული და გაცვეთილი საწარმოო საშუალებების ჩანაცვლება (ნედლი მასალა, შენობები, წარმოების ინსტრუმენტები, მექანიკური საშუალებები და ა.შ.). ჩვენთვის ცხადია, რომ წარმოების საშუალებათა კვლავწარმოება, შეუძლებელია განვიხილოთ ერთი კონკრეტული ფირმის დონეზე, რადგან ამ შემთხვევაში მისი ილუსტრირება არ ხდება სრულყოფილად. ხსენებულ დონეზე დაკვირვებითაც შეიძლება ვისაუბროთ საწარმოო საშუალებათა კვლავწარმოების აუცილებლობაზე, მაგრამ ამ შემთხვევაში ვერ განვიხილავთ მისი მექანიზმს და ფუნქციონირებას.

ამის თვალსაჩინოებისთვის კარგი მაგალითია: კაპიტალისტი, ვინც აწარმოებს შალის ნართს საკუთარ ფაბრიკაში, უწევს ნედლი მასალის, ტექნიკის და სხვა საშუალებათა კვლავწარმოება, რასაც ის საკუთარი წარმოებით არ ქმნის, მათი წარმოება ხდება სხვა კაპიტალისტების მიერ: მეცხვარეობაში ჩართული კაპიტალისტი, ბატონი γ , ინჟინერი, ვინც აწარმოებს ტექნიკურ სამუშაო იარაღს, ბატონი z და ა.შ. ბატონ N -ის და ბატონი Z -ის მიერ ამ პროდუქტების წარმოება ბატონი X -ისთვის არის წარმოების საშუალებათა ჩანაცვლების წყარო. თუმცა თავისმხრივ ბატონ N -ს და ბატონ Z -ს უხდებათ კვლავწარმოება საკუთარი წარმოებისთვის და ასე დაუსრულებლად. ეს ჯაჭვი მოიცავს როგორც ეროვნულ ისე მსოფლიო ვაჭრობის დონეს.

წარმოების საშუალებათა კვლავწარმოების უწყვეტი ჯაჭვის მექანიზმი კარგად ჩანს "კაპიტალის" პირველ და მეორე თავებში.

სამუშაო ძალის კვლავწარმოება

ზემოთ განვიხილეთ საწარმოო საშუალებების კვლავწარმოება, მაგრამ არ შევხებივართ ისეთ მნიშვნელოვან თემას როგორცაა მწარმოებლური ძალების კვლავწარმოება.

ნებისმიერ ფირმაზე დაკვირვებით, შეგვიძლია მივხვდეთ, რომ მის შიგნით მიმდინარეობს მატერიალური პროცესი კვლავწარმოების, თუმცა სამუშაო ძალათა კვლავწარმოების სიღრმისეული გაანალიზება მხოლოდ კონკრეტულ ფირმაზე დაკვირვებით ვერ მოხდება, იმ მარტივი მიზეზის გამო რომ, სამუშაო ძალათა კვლავწარმოება ხდება ფირმის გარეთ.

საინტერესოა იმ კითხვაზე პასუხი თუ როგორ ხდება სამუშაო ძალათა კვლავწარმოების უზრუნველყოფა. აშკარაა რომ ამას უზრუნველყოფს ხელფასების (მატერიალური საშუალებების) გაცემა მუშებზე, რისი გამოყენებითაც მუშა თავად ახდენს საკუთარი სამუშაო ძალის კვლავწარმოებას. ხელფასის თვისება წარმოებაში სხვა არაფერია თუ არა მატერიალური კვლავწარმოება სამუშაო ძალის. ამგვარად შეგვიძლია ვთქვათ ხელფასი, სამუშაო ძალების დანახარჯებით, ღირებულების შექმნის ის ნაწილია, რაც აუცილებელია სამუშაო ძალის კვლავწარმოებისთვის, ხელფასის მიღებით სამუშაო ძალის განახლებისთვის (ფული საცხოვრებელი ადგილისთვის, საჭმლისთვის, ტანსაცმლისთვის და ბოლოს, შესაძლებლობისთვის ,მუშა ხელფასის აღების მეორე დღეს, კვლავ წარდგეს ფაბრიკის კარიბჭის წინ). აქვე დავამატებ ხელფასი, როგორც აუცილებლობა ბავშვების აღზრდა-განათლებისთვის. ამით პროლეტარიატი, როგორც სამუშაო ძალის კვლავწარმოებას ახდენს.

ხელფასები, როგორც აუცილებლობა სამუშაო ძალის კვლავწარმოებისთვის, ჩვეულებრივ, განისაზღვრება არა მხოლოდ ბიოლოგიური, არამედ ისტორიული მინიმუმის მოთხოვნილებებით (მარქსი აღნიშნავს, რომ ინგლისელი მუშისთვის აუცილებელია ლუდი, მაშინ როცა, ფრანგი პროლეტარისთვის საჭიროა ღვინო) ანუ ისტორიულად ცვლადი მინიმუმით.

სამუშაო ძალის კვლავ წარმოება მოითხოვს სამუშაო ძალის კომპეტენტურობის უზრუნველყოფასაც: წარმოების კომპლექსურ სისტემაში იყოს სათანადო კვალიფიკაციის მქონე მუშა. მოცემულ გარემოში საწარმოო ძალების განვითარება მოითხოვს სამუშაო ძალების უნარებით აღჭურვას, შრომის დანაწილების სოციალურ-ტექნოლოგიური მოთხოვნების შესაბამისად.

შესაბამისად ჩნდება კითხვა, როგორ ხდება კაპიტალისტური წარმოების რეჟიმში, შრომითი ძალების უნარების კვლავწარმოება? დღეს, განსხვავებით მონათმფლობელური ან ფეოდალური სოციალური ფორმაციისა, მცირდება სამუშაო ძალათა უნარების კვლავწარმოება, უშუალოდ საწარმოო პროცესის პარალელურად. უფრო მეტადაა გაზრდილი გავლენა სამუშაო ძალის კვლავ წარმოების პროცესში, კაპიტალისტური საგანმანათლებლო სისტემის და სხვა ისტიტუციების, რაც წარმოების მიღმა არსებობს.

რას სწავლობენ ბავშვები სკოლებში? ისნი დადიან სკოლაში სწავლობენ წერას, კითხვას და სხვა ტექნიკურ საკითხებს, მათ შორის მეცნიერებისა და კულტურის საფუძვლებს ეცნობიან, რაც არის აუცილებელი და არსებითად მნიშვნელოვანი წარმოების პროცესში სხვადასხვა კატეგორიის სამუშაოს შესასრულებლად. ამგვარად

ისინი სწავლობენ ინსტრუქციებს წარმოებისთვის. მაგრამ, გარდა ამ ცოდნისა და სწავლების პროცესისა, მოსწავლეებს შეეხება აქვთ კონკრეტულ რეგულაციებთან, რაც განსაზღვრავს მათ კარგ და ცუდ ყოფაქცევას.

ნებისმიერი დამსაქმებელი შრომის გადანაწილებისას მოქმედებს მშრომელის მორალური, საზოგადოებრივი და პროფესიული ცნობიერების მიხედვით. ეს შრომის დანაწილების მიღებული წესია, რაშიც კლასობრივი დომინაციით ნაკარნახები წესრიგი ილუსტრირდება.

უფრო მეტად თანმიმდევრული და სიღრმისეული, რომ გავხადოთ ეს საკითხი, ვიტყვით, რომ სამუშაო ძალის კვლავწარმოება მოითხოვს, არა მხოლოდ კვლავწარმოებას სამუშაო ძალის უნარების, არამედ კლასობრივი დომინაციით ნაკარნახები წესრიგის მიმართ სამუშაო ძალის დაქვემდებარების კვლავწარმოებას (შესაბამისად მუშების მორჩილების კვლავწარმოებას მმართველი იდეოლოგიის მიმართ) და შესაბამისი მმართველი იდეოლოგიით მანიპულაციის კვლავწარმოებას, ექსპლუატაციისა და რეპრესიების მიზნით. ამგავრად მმართველი იდეოლოგია უზრუნველყოფს მმართველი კლასის დომინაციას მსოფლიო მასშტაბით.

ახლა შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლა (ასევე ისეთი სახელმწიფო ინსტიტუტები როგორცაა: ეკლესია, არმია, პოლიცია და სხვა) ასწავლიან წარმოების წესებს, მმართველი იდეოლოგიის მიმართ მორჩილების უზრუნველყოფის წესით.

გამოდის, სამუშაო ძალათა კვლავწარმოებისთვის მნიშვნელოვანი და აუცილებელია უნარების კვლავწარმოება და სამუშაო ძალის მორჩილების კვლავწარმოება მმართველი იდეოლოგიის მიმართ.

ბაზისი და ზედნაშენი

მე ვამბობ (ეს თეზისი იმეორებს ისტორიული მატერიალიზმის ცნობილ თეორიას), რომ მარქსის გაგებით, სტრუქტურა ნებისმიერი საზოგადოების, არის სპეციფიკური დეტერმინიზმის ხარისხით გამოხატული, კერძოდ ფუნდამენტით/ეკონომიკური ბაზისი (საწარმოო ძალათა ერთობა და საწარმოო ურთიერთობები) და ზედნაშენით, ეს უკანასკნელი თავისმხრე აერთიანებს ორ დონეს: პოლიტიკურს (კანონი და სახელმწიფო) და იდეოლოგიურს (განსხვავებული იდეოლოგიები, რელიგია, ეთიკა, კულტურა და ა.შ.).

დასანახად რომ ადვილი იყოს, სოციალური სტრუქტურა წარმოვადგინოთ როგორც შენობა, რაც აერთიანებს ფუნდამენტს (ბაზისს) და მასზე აღმართულ

შენობას (ზედნაშენს). რასაკვირველია ეს არის მეტაფორა, მაგრამ როგორც ყველა მეტაფორა ესეც კონკრეტულ საკითხს ხდის ხილვადს. მაგალითად ძალიან მარტივია აღსაქმელად ის რომ წარმოუდგენელია ზედა სართულების ჰაერში გამოკიდება თუკი არ ეყრდნობა ფუნდამენტს (ბაზისს), ამგვარად ეს მეტაფორა კარგად აღწერს სოციალურ სტრუქტურას და გამოხატავს ფუნდამენტს (ბაზისს), როგორც დეტერმინანტს. ეს კი ნიშნავს იმას რომ რაც ხდება ზედასართულებში (ზედნაშენში) განპირობებულია იმით რაც ხდება ფუნდამენტში (ეკონომიკურ ბაზიზში). შესაძლებელი ითქვას: სართულები, როგორც ზედნაშენი არ არის დეტერმინანტი, პირიქით ისინი დეტერმინირებულნი არიან ფუნდამენტით/ ეკონომიკური ბაზისით.

მარქსისტული ტრადიციის მიხედვით შეგვიძლია წარმოვადგინოთ შემდეგი:

1-არსებობს ურთიერთ კავშირებადი ავტონომია ზედნაშენსა და ბაზისს შორის

2- საპასუხო ქმედება ზედნაშენის ბაზისზე

შესაბამისად ის თეორეტიკული უპირატესობა, რაც აქვს მარქსის კარტოგრაფიას ანუ შენობის მეტაფორას (ბაზის და ზედნაშენი) არის ის რომ ერთდროულად ააშკარავებს დეტერმინაციის საკითხს, (ბაზისი არის დეტერმინანტი მთლიანად შენობის) ზედნაშენის და ბაზისი ურთიერთ კავშირებად ავტონომიას და ასევე ზედნაშენის საპასუხო ქმედება ბაზისზე.

არსებობს საკითხის განსხვავებულად წარმოდგენის შესაძლებლობაც, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მე მსურს ვუარყო კლასიკური მეტაფორა, რაც მოითხოვს მასში შეღწევას სიღრმისეული ანალიზისთვის, შესაბამისად ვცდილობ იმის გააზრებას რას ნიშნავს ეს მეტაფორა აღწერილობით ფორმაში.

მე მჯერა, რომ შესაძლებელი და აუცილებელია იმაზე ფიქრი თუ რით ხასიათდება ზედნაშენის ბუნება ბაზისის კვლავწარმოებისას. მრავალი საკითხის არსებობა მჟღავნდება ზემოთ განხილულ მეტაფორაში, მაგრამ ვთვლი, მათი ფორმულირება შეუძლებელია კვლავ წარმოების საკითხის განხილვის გარეშე.

კვლავწარმოებასთან კავშირში, ქვემოთ წარმოვადგენ მოკლე ანალიზს, კანონის, სახელმწიფოს და იდეოლოგიის.

სახელმწიფო

მარქსისტული ტრადიცია მკაცრად განსაზღვრულ მიდგომას აყალიბებს ამ საკითხთან დაკავშირებით "კომუნისტურ მანიფესტში", ყველა კლასიკურ ტექსტში,

განსაკუთრებით გამოსარჩევია მარქსი "პარიზის კომუნაზე" და "სახელმწიფო და რევოლუცია". თითოეულ მათგანში სახელმწიფო მკაცრად განისაზღვრება, როგორც რეპრესიული აპარატი. სახელმწიფო არის რეპრესიის მექანიზმი, საშუალება მმართველი კლასისთვის, უზრუნველყოს საკუთარი დომინაცია მშრომელთა კლასზე.

ამგვარად სახელმწიფო, უპირველეს ყოვლისა არის აპარატი, რაც ნიშნავს არა მხოლოდ სპეციალიზირებულ აპარატთა : პოლიცია, სასამართლო, ციხე და სხვა არამედ არმიის (რისთვისაც პროლეტარიატი, სისხლიანი გამოცდილების მისაღებად, წევს მატერიალურ ხარჯებს) ერთობლიობასაც. ცხადია რომ, როცა სახელმწიფო აპარატებს ექმნებათ საფრთხე ეს უკანასკნელი, როგორც რეალური ძალა ახდენს პირდაპირ ინტერვენციას, რაც ავლენს სახელმწიფოს რეპრესიული აპარატის ბუნებას.

მარქსისტულ-ლენინისტურ თეორიას აქვს სახელმწიფოს ზედმიწევნითი ფორმულირება და ვერანაირი კითხვა ამ დეფინიციას ჩიხში ვერ მოაქცევს. სახელმწიფო აპარატები, განსაზღვრავს სახელმწიფოს, როგორც რეპრესიული აღკვეთისა და დაშინების აპარატს, მმართველი კლასის ინტერესების შესაბამისად. კლასობრივ ბრძოლაში პროლეტარიატზე დომინაციისთვის. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ისიც ვთქვათ რომ ეს მის ბაზისურ ფუნქციასაც კი წარმოადგენს.

აღწერითი თეორია და თეორია როგორც ასეთი

ზემოთ განხილული შენობის მეტაფორა (ბაზისი და ზედნაშენი) და სახელმწიფოს ბუნების პრეზენტირება, არის მხოლოდ აღწერითი, რაც თავისმხრივ აუცილებელია გაურკვევლობის თავიდან ასაცილებლად.

ყოველთვის, როცა ვსაუბრობ შენობის მეტაფორაზე ან სახელმწიფოს განმარტების მარქსისტულ თეორიაზე, აღვნიშნავ, რომ ის არის აღწერითი კონცეპტი. ამ შემთხვევაში არ მაქვს არანაირი ფარული მოტივი კრიტიკისთვის, პირიქით ვფიქრობ რომ ყველა დიდი მეცნიერული აღმოჩენა არ იქნება გამოსადეგი აღწერითი თეორიის გარეშე. აღწერა არის პირველი ფაზა ნებისმიერი თეორიისთვის. ჩემი აზრით, ყოველთვის აუცილებელია ამ ფაზის სრულყოფილი შესწავლა და ანალიზი, როგორც გარდამავალი ეტაპის. ჩემი განმარტებით, გარდამავალი ეტაპი/აღწერითი თეორია ცნებათა ურთიერთკავშირის დროს ავლენს დაპირისპირებულობებს, რაც ნიშნავს, რომ 1- აღწერითი თეორია გვიცავს, რაიმე სახის გადაცდენებისგან 2- აღწერითი თეორია მოითხოვს თეორიის განვითარებას, რასაც გადავყავართ თეორიის მიღმა/სიღრმეებში.

ამ იდეას უფრო მეტ სიცხადეს შევძენ, რისთვისაც განვიხილავ მას ზემოთ წარმოდგენილი სახელმწიფოს საკითხის : სახელმწიფოს ჩარჩოებში. როცა მე ვამბობ რომ სახელმწიფოს მარქსისტული თეორია არის აღწერითი ეს ნიშნავს; გვიცავს გადაცდენისგან, წარმოადგენს სახელმწიფოს მარქსისტული თეორიის საწყის წერტილს და გვაძლევს მნიშვნელოვან მონახაზს თეორიის განვითარებისთვის.

სახელმწიფოს აღწერითი თეორია გვაძლევს საშუალებას, წარსულში მომხდარი ფაქტები, ან ის რაც დღეს ხდება განვიხილოთ წარმოდგენილი აღწერის მიხედვით. სახელმწიფო, როგორც კლასობრივი სახელმწიფო, ილუსტრირებული სახელმწიფოს რეპრესიულ აპარატებში, ჰფენს ნათელს ყველა ისტორიულ ფაქტს დაწყებული 1848 წლის იანვრის პარიზის კომუნის ხოცვა-ჟლეტით, 1905 წლის მაისის პეტროგრადის სისხლიანი კვირით და ა.შ. დღევანდელი მასების რეპრესიებისა და ჩაგვრის ნებისმიერი გამოვლინებებს, პოლიტიკური დემოკრატიის ფორმაში, რასაც მარქსისტული ტრადიციის მიხედვით, ლენინი უწოდებს ბურჟუა კლასის დიქტატურას.

მიუხედავად იმისა, რომ ფაქტების მაგალითებად მოყვანა მრავლად შეიძლება, ეს მაინც არ იძლევა სახელმწიფოს სრულყოფილ განმარტებას, ანუ მეცნიერულ თეორიას. ამკარაა რომ ნებისმიერი აღწერითი თეორია, გარკვეულ წილად, აფერხებს თეორიის განვითარებას, მაშინ როცა, განვითარება აუცილებელია.

სახელმწიფოს ფუნქციის უკეთ გამომჟღავნების მიზნით გადამყავს აღწერითი თეორია, თეორიაში. ამისთვის კი აუცილებელია სახელმწიფოს დეფინიციის კლასიკურ ფორმას დაემატოს ახალი ელემენტები.

სახელმწიფოს მარქსისტული თეორიის საკვანძო ცნებები.

პირველრიგში აღვნიშნავ ერთ მნიშვნელოვან საკითხს: სახელმწიფოს არ აქვს სხვა არანაირი მნიშვნელობა, თუ არა „სახელმწიფო ძალად“ ფუნქციონირებისა. მთელი პოლიტიკური, კლასობრივი ბრძოლა ტრიალებს სახელმწიფოს ირგვლივ. ეს განმარტება საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ „სახელმწიფო ძალა“, როგორც ობიექტი კლასობრივი ბრძოლის და შესაბამისად ვისაუბროთ იმ აპარატებზე, რომლებიც ფლობენ ამ ძალას.

ჩვენთვის ცხდაია, რომ სახელმწიფო აპარატები ყოველთვის შეინარჩუნებენ საკუთარ ძალას, როგორც ეს მაგალითად მოხდა 1820; 1848 წლის საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციით, ან თუნდაც 1890-95 წლების საფრანგეთის წვრილბურჟუაზიის აღმასვლით და ა.შ. შესაბამისად ამკარაა სახელმწიფო აპარატების

ეფექტურობა გავლენას ახდენს პოლიტიკურ მოვლენებზე, რაც აისახება სახელმწიფო ძალის ფლობაში.

1917 წლის სოციალისტური რევოლუციის შემდეგაც კი, როდესაც სახელმწიფო ძალა გადავიდა პროლეტარიატის და გლეხობის ხელში, სახელმწიფო აპარატების გარკვეულმა ნაწილმა კვლავ განაგრძო არსებობა.

ამდენად სახელმწიფოს მარქსისტული თეორია შეგვიძლია შევაჯამოთ შემდეგ ნაირად:

1-სახელმწიფო არის რეპრესიული აპარატების სისტემა.

2-სახელმწიფო ძალა და სახელმწიფო აპარატები განირჩევა.

3-ობიექტს, კლასობრივი ბრძოლის, წარმოადგენს სახელმწიფო ძალა. რომელი კლასიც ფლობს სახელმწიფო ძალას, ის ფლობს სახელმწიფო აპარატებს.

4-პროლეტარიატი უნდა დაეუფლოს სახელმწიფო ძალას, რათა გაანადგუროს ბურჟუაზიული სახელმწიფო აპარატები, საწყის ეტაპზე ჩაანაცვლოს ისინი პროლეტარული სახელმწიფო აპარატებით, ბოლო ეტაპზე წარმართოს ისეთი პოლიტიკა, რაც გაანადგურებს სახელმწიფოს (ეს იქნება დასასრული სახელმწიფო ძალის და ყველა სახელმწიფო აპარატის).

წარმოდგენილი განმარტება, როგორც უკვე ზემოთაც აღვნიშნეთ არის აღწერითი თეორია და თეორიის განვითარებისთვის საჭიროებენ უფრო კომპლექსურ განმარტებას.

იდეოლოგიური სახელმწიფო აპარატები

პოლიტიკურ პრაქტიკაში, კლასიკოსი მარქსისტები უფრო კომპლექსურად განიხილავდნენ სახელმწიფოს თეორიას, აქედან გამოვდივარ მისი შევსების ინიციატივით. ისინი ზედმიწევნით იაზრებდნენ ამ საკითხის კომპლექსურობას, თუმცა არ გამოხატავდნენ ამ გამოცდილებას თეორიულ ნაწილში.

იმისთვის რომ განვავითაროთ სახელმწიფოს აღწერითი თეორია, საჭიროა არა მხოლოდ განსხვავების ასახვა სახელმწიფო ძალასა და სახელმწიფო აპარატებს შორის, ასევე აუცილებელია ისეთი ნათელი და ხილვადი ელემენტების გამოყოფა რასაც ვეძახი- იდეოლოგიურ სახელმწიფო აპარატებს.

რა არის იდეოლოგიური სახელმწიფო აპარატები?

ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია ერთმანეთში არ ავურიოთ იდეოლოგიური სახელმწიფო აპარატები, რეპრესიულ სახელმწიფო აპარატებში. თუ გავიხსენებთ მარქსისტულ თეორიას სახელმწიფო აპარატები აერთიანებს: მთავრობას, ადმინისტრაციას, არმიას, პოლიციას, სასამართლოს, ციხეს, და ა.შ. ყველაფერ იმას, რასაც შემდგომში ვუწოდეთ რეპრესიული სახელმწიფო აპარატები რომელთა ძირითადი მახასიათებელი არის მოქმედება ძალის გამოყენებით.

იდეოლოგიური სახელმწიფო აპარატები, რომელთაც მე ვახსენებ, ჩვეულებრივ ფუნქციონირებენ სპეციალიზებული ინსტიტუტებისგან დისტანცირებულად.

მათი ფუნქციონირების სპეციფიკის გათვალისწინებით, შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი იდეოლოგიური აპარატები:

- 1-რელიგია (სხვადასხვა ეკლესიებში წარმოჩენილი სისტემა)
- 2-განათლება (სხვადასხვა საჯარო და კერძო სკოლების სისტემა).
- 3-ოჯახი.
- 4-სამართალი.
- 5-პოლიტიკური სისტემა (სხვადასხვა პარტიებით წარმოდგენილი).
- 6-სავაჭრო გაერთიანებები.
- 7-საკომუნიკაციო-საინფორმაციო საშუალებები.
- 8-კულტურა (ლიტერატურა, სპორტი, და ა.შ.).

მე აღვნიშნე, რომ იდეოლოგიური სახელმწიფო აპარატები არ უნდა ავურიოთ რეპრესიულ აპარატებში, სემაბამისად ჩნდება კითხვა რა არის მათ შორის განსხვავება?

1- როდესაც არსებობს რეპრესიული სახელმწიფო აპარატები, არსებობს ერთობა იდეოლოგიურ სახელმწიფო აპარატებს შორის. ის თუ რაქმნის მათ შორის ერთიანობის საფუძველს, ერთი შეხედვით არ არის ხილვადი,

2- ნათელია, რომ საელმწიფო აპარატები (რეპრესიული), მთლიანად მოიცავენ საჯარო სფეროს. დიდი ნაწილი კი იდეოლოგიური სახელმწიფო აპარატების, კერძო საკუთრების სფეროში ვლინდება: ეკლესია, პარტიები, სავაჭრო გაერთიანებები, ოჯახი, სკოლები, მედია საშუალებები.

დასაწყისში ცოტახნით დავივიწყოთ პირველი შემთხვევა და ყურადღება გავამახვილოთ მეორე საკითხზე. ყოველთვის როცა მეკითხებიან რას ვთვლი იდეოლოგიურ სახელმწიფო აპარატებად, ჩემი პასუხია- აპარატები, რომლებიც წარმოადგენენ კერძო ინსტიტუტებს. მაგრამ ცხადია სახელმწიფო, რომელიც ყოველდღიურად, ცხოვრებაში ატარებს მმართველი კლასის ინტერესებს, განმასხვავებელ ნიშანს საჯარო და კერძო სფეროებს შორის შლის, თუმცა ჩვენთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია, ის თუ რომელ სფეროში რეალიზდება ინსტიტუტები. ის რასაც ჩვენთვის მნიშვნელობა ენიჭება, არის მათი ფუნქციონირების საკითხი. კერძო ინსტიტუტების ფუნქციონირებაზე დაკვირვებით კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვეულებრივ, ისინი ფუნქციონირებენ იდეოლოგიური სახელმწიფო აპარატების სახით.

ამგვარად, ის თუ რა განსხვავებაა რეპრესიულ და იდეოლოგიურ აპარატებს შორის არის ფუნდამენტური საკითხი. რეპრესიული სახელმწიფო აპარატები ფუნქციონირებენ უხეში ძალმომრეობით, მაშინ როცა იდეოლოგიური სახელმწიფო აპარატები ფუნქციონირებენ იდეოლოგიით. შეგვიძლია ისიც ვთქვათ რომ როგორც რეპრესიული, ისე იდეოლოგიური აპარატები ერთდროულად ფუნქციონირებენ ძალმომრეობითაც და იდეოლოგიითაც, თუმცა პირველ შემთხვევაში ძალმომრეობა პირველ ხარისხოვანია, იდეოლოგია გამოდის როგორც მეორადი ფუნქცია. მეორე შემთხვევაშიც ანალოგიურად, ოღონდ პირიქით იდეოლოგია- პირველ ხარისხოვანი და რეპრესია/ძალმომრეობა მეორადი ფუნქცია. დასჯის მეთოდები უცხო არაა არც ოჯახისთვის, არც ეკლესიისთვის, არც სკოლისთვის უკიდურეს შემთხვევაში, როცა საქმე დისციპლინის უზრუნველყოფას ეხება.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია მივუბრუნდეთ პირველ შემთხვევას და გავაანალიზოთ, რა უქმნის, იდეოლოგიურ სახელმწიფო აპარატებს, საერთო საფუძველს. თუ ვამბობთ, რომ იდეოლოგიური სახელმწიფო აპარატები ფუნქციონირებს იდეოლოგიით, უნდა ვთქვათ ისიც, რომ მათი გამაერთიანებელი სფერო არის ფუნქციონირება, იმდენად რამდენადაც იდეოლოგია, რომელითაც ისინი ფუნქციონირებენ, ერთი მმართველი კლასის იდეოლოგიის შესაბამისად ქმნის მმართველ იდეოლოგიას და ფუნქციონირების ერთგვარ ფორმას. მოცემულობით, მმართველი კლასი ფლობს სახელმწიფო ძალას, შესაბამისად ამ ძალის განხორციელების, რეპრესიულ აპარატებს. ნათელია ისიც რომ ეს კლასი აქტიურია იდეოლოგიურ სახელმწიფო აპარატებში, იმდენად რამდენადაც მათი მმართველი იდეოლოგია, ხორციელდება იდეოლოგიური სახელმწიფო აპარატებით. ჩემი

ცოდნით არცერთ კლასს არ შეუძლია, ფლობდეს სახელმწიფო ძალას დიდი ხნით თუ ის საკუთარ ჰეგემონიას არ ახორციელებს იდეოლოგიური სახელმწიფო აპარატებით.

თუ თეზისი, რომელიც მე წარმოვადგინე მუშაა, მაძლევს საშუალებას მივუბრუნდე სახელმწიფოს მარქსისტულ თეორიას და მეტი სიცხადე შევძინო მას. აქვე ვამტკიცებ რომ მნიშვნელოვანია, ერთმანეთისგან განვასხვაოთ სახელმწიფო ძალა და სახელმწიფო აპარატები, ეს უკანასკნელი თავისმხრივ ორი ნაწილისგან შედგება: 1-რეპრესიული სახელმწიფო აპარატები და 2- იდეოლოგიური სახელმწიფო აპარატები.

შესაბამისად ჩნდება კითხვაც, რა არის იდეოლოგიური სახელმწიფო აპარატის როლი? რას ემყარება მისი მნიშვნელობა?

საწარმოო ურთიერთობათა კვლავწარმოება

აქ შეგვიძლია პასუხი გავცეთ, იმას თუ როგორ ხდება საწარმოო ურთიერთობების კვლავ წარმოების უზრუნველყოფა, რაც ზემოთ წარმოდგენილ კითხვასაც მოჰყვანს ნათელს. შემიძლია ვთქვა, ამგვარი კვლავწარმოების უზრუნველყოფა ხდება პოლიტიკური და იდეოლოგიური ზედნაშენით, მაგრამ ვარგუმენტირებ, რომ აუცილებელია აღწერითი ენის მიღმა გასვლა, აქედან გამომდინარე ვამბობ, რომ საწარმოო ურთიერთობათა კვლავწარმოება უზრუნველყოფილია სახელმწიფო ძალის არსებობით სახელმწიფო აპარატებში, ანუ ერთიმხრივ რეპრესიულ სახელმწიფო აპარატში და მეორე მხრივ იდეოლოგიურ სახელმწიფო აპარატში.

ის რაც ვთქვი შეიძლება შეჯამდეს სამ აბზაცში:

1- ყველა სახელმწიფო აპარატი ფუნქციონირებს ერთდროულად რეპრესიით და იდეოლოგიით. შემდეგი განსხვავებით რეპრესიული სახელმწიფო აპარატი ფუნქციონირებს უფრო მეტად რეპრესიით, იდეოლოგიური სახელმწიფო აპარატი ფუნქციონირებს ძირითადად იდეოლოგიით.

2- რეპრესიული სახელმწიფო აპარატები ქმნიან ერთობას, რაც იმართება მმართველი ერთობით, მმართველი კლასის პოლიტიკური წარმომადგენლები, კლასობრივი ბრძოლის გზით ცდილობენ სახელმწიფო ძალის დაუფლებას. იდეოლოგიური სახელმწიფო აპარატებს შეუძლიათ განსაზღვრონ კლასთაშორის დაპირისპირებულობის საგანი; გაამწვავაოს ან შეამციროს დაპირისპირებულობა;

განსაზღვროს დაპირისპირებულობის ეფექტი ბურჟუაზიულ კლასსა და პროლეტარიატის კლასს შორის.

3- მაშინ რონა რეპრესიული სახელმწიფო აპარატების ერთობა უზრუნველყოფილია, ცენტრალიზებული და კარგად ორგანიზებული მმართველი კლასის მიერ, რომელიც წარმართავ კლასობრივ ბრძოლას საკუთარი ინტერესებით ძალის ფლობით, იდეოლოგიური სახელმწიფო აპარატების ერთობას უზრუნველყოფს მმართველი კლასის იდეოლოგია/მმართველი იდეოლოგია.

ამგვარი შეჯამებით, შეგვიძლია პრეზენტირება გავუკეთოთ საწარმოო ურთიერთობათა კვლავწარმოებას.

რეპრესიული სახელმწიფო აპარატების როლი, არის არამხოლოდ, რეპრესიის გზით (იქნება ეს ფიზიკური თუ სხვა სახის) უზრუნველყონ საწარმოო ურთიერთობების/ექსპლუატაციის კვლავწარმოებისთვის საჭირო პოლიტიკური გარემო, არამედ გარემო სადაც იდეოლოგიური სახელმწიფო აპარატები ეფექტურად იფუნქციონირებენ.

ფაქტია, რომ საწარმოო ურთიერთობებათა კვლავწარმოებას, ძირითადად უზრუნველყოფს რეპრესიული სახელმწიფო აპარატები, თუმცა ცხადია მმართველი კლასის იდეოლოგიის/მმართველი იდეოლოგიის მნიშვნელოვანი როლი კვლავწარმოებაში. მმართველი იდეოლოგია, არის შუამავალი, რეპრესიულ სახელმწიფო აპარატებსა და იდეოლოგიურ სახელმწიფო აპარატებს შორის, ასევე სხვადასხვა იდეოლოგიურ აპარატებს შორის.

ზემოთ, გარკვეულ წილად, წარმოვადგინე იდეოლოგიური სახელმწიფო აპარატები, თანამედროვე კაპიტალისტურ ფორმაციაში: საგანმანათლებლო აპარატები, რელიგიური აპარატები, ოჯახი, პოლიტიკური აპარატები, სავაჭრო გაერთიანებები, საკომუნიკაციო-საინფორმაციო აპარატები, კულტურული აპარატები და ა.შ.

წარმოების ფეოდალურ ფორმაში, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ არსებობს ერთი ძლიერი რეპრესიული სახელმწიფო აპარატი, (ისევე როგორც ეს ანტიკურ ხანაში იყო) აბსოლუტური მონარქის ქვეშ. აქ იდეოლოგიური სახელმწიფო აპარატების რიცხვი მცირეა. მაგალითად შუა საუკუნეებში ეკლესია (როგორც იდეოლოგიური აპარატი) აერთიანებდა ისეთ ფუნქციებს, რაც დღეს სხვადასხვა იდეოლოგიურ აპარატშია გადანაწილებული. ეკლესია ასრულებდა საგანმანათლებლო ფუნქციას, ქმნიდა

კულტურის ჩარჩოებს, ასევე ითავსებდა ოჯახის ფუნქციას. კაპიტალისტურ ფორმაციაში ეს აპარატები დამოუკიდებელი გახდნენ ეკლესიისგან.

პრეკაპიტალისტურ, ისტორიულ პერიოდში, არსებობდა ერთი დომინანტი იდეოლოგიური აპარატი ეკლესიის სახით, რაც ასრულებდა საგანმანათლებლო და კულტურული აპარატების ფუნქციას. შემთხვევითი არაა, რომ იდეოლოგიური ბრძოლა მე-16 საუკუნიდან მე-18 საუკუნემდე დაიწყო რეფორმაციით და წარიმართა ანტიკლერიკალური, ანტირელიგიური ბრძოლით.

უმთავრესი მიზანი საფრანგეთის რევოლუციის იყო არამხოლოდ სახელმწიფო ძალის გადანაცვლება ფეოდალური არისტოკრატიდან კაპიტალისტურ ბურჟუაზიისკენ (რაც ცვლიდა რეპრესიულ სახელმწიფო აპარატებს ახლით), არამედ შეტევა ნომერ პირველ იდეოლოგიურ სახელმწიფო აპარატზე- ეკლესიაზე. ახალი იდეოლოგიური სახელმწიფო აპარატების ფორმირების მიზნით, რასაც უნდა ჩაენაცვლებინა ეკლესიის დომინანტი როლი.

მსგავსი ფაქტები თავისთავად არ ხდება. ხანგრძლივი კლასობრივი ბრძოლა, ფეოდალურ არისტოკრატიასა და ინდუსტრიულ ბურჟუაზიას შორის, მიზნად ისახავდა ბურჟუაზიის ჰეგემონიის განმტკიცებას. ბურჟუაზიულმა კლასმა აირჩია ახალის პოლიტიკური სისტემა, საპარლამენტო დემოკრატია და განავითარა ბრძოლა იდეოლოგიური ფუნქციის ჩამორთმევის მიზნით. შესაბამისად ამ კლასობრივ დაპირისპირებულობაში, ბურჟუაზიის მიზანი იყო, არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ იდეოლოგიური ჰეგემონიის მოპოვება, როგორც აუცილებელი ფაქტორის, კაპიტალისტურ საწარმოო ურთიერთობათა კვლავწარმოებისთვის.

იდეოლოგიური სახელმწიფო აპარატები, რომელთაც კაპიტალისტურ ფორმაციაში დაიკავეს დომინანტი ადგილი, საგანმანათლებლო იდეოლოგიური აპარატებია, თუმცა წამყვანი ადგილი უკავია პოლიტიკურ იდეოლოგიურ სახელმწიფო აპარატს ანუ საპარლამენტო დემოკრატის რეჟიმს.

რატომ არის საგანმანათლებლო აპარატები დომინანტი, იდეოლოგიური სახელმწიფო აპარატებიდან და როგორ ფუნქციონირებენ ისინი?

1- ყველა იდეოლოგიურ სახელმწიფო აპარატს საკუთარი როლი აქვს საწარმოო ურთიერთობათა კვლავწარმოებაში/კაპიტალისტურ საწარმოო ურთიერთობათა კვლავწარმოებაში (ექსპლუატაციის კვლავწარმოებაში). თვალსაჩინოებისთვის, პოლიტიკური აპარატები-ინდივიდების დაქვემდებარებით არაპირდაპირ (საპარლამენტო) ან პირდაპირ (ფაშისტური) დემოკრატიულ იდეოლოგიასთან

(სახელმწიფოს პოლიტიკური იდეოლოგია); საინფორმაციო-საკომუნიკაციო აპარატები- მოქალაქეებისთვის ყოველდღიურ რეჟიმში ნაციონალური, შოვინისტური, ლიბერალისტური, მორალისტური და სხვა იდეების მიწოდებით.

2-მმართველი კლასის იდეოლოგია ინტეგრირებულია ისეთ საკითხებში როგორცაა: ჰუმანიზმი, ნაციონალიზმი, ეკონომიკა და სხვა ყოველდღიური ცხოვრების მნიშვნელოვანი ასპექტები.

3-მნიშვნელოვანი და დომინანტი იდეოლოგიური სახელმწიფო აპარატი არის სკოლა. სკოლებში ბავშვები თავსიყრიან ყველა კლასიდან და წლების მანძილზე, როგორც მარტივად მოწყვლადი ჯგუფი, ექცევა საოჯახო და საგანმანათლებლო აპარატებს შორის, სადაც სწავლობს მმართველი იდეოლოგიის ჩარჩოებში წარმოების მეთოდებს (უცხოენას, არითმეტიკას, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს, ლიტერატურას, ასევე სწავლობს ეთიკურ ნორმებს, საზოგადოებრივი ყოფაქცევის წესებს და ა.შ.). სკოლის შემდგომი საგანმანათლებლო საქმიანობა არის კარიერული ზრდისთვის, პატარა ან საშუალო ტექნიკოსებად/ბიუროკრატებად ჩამოყალიბება (თეთრი ფერის მუშები), დასკვნითი ეტაპი არის ინტელექტუალური ფენის: კაპიტალისტების, მენეჯერები, პოლიციელების, პოლიტიკოსების, ადმინისტრატორების რიგების შევსება.

მასების ცხოვრება, პრაქტიკულად, მთლიანად წარმართულია იდეოლოგიით, რისი ფუნქციაცაა კლასობრივი საზოგადოების შევსება. ექსპლუატირებულნი (პროფესიული, ეთიკური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ცნობიერების ჩამოყალიბებით); ექსპლოატატორები (მუშებთან სასაუბრო ენის დახვეწით, ჰუმანურ იდეებზე მითითებით); რეპრესიის აგენტები (შესაძლებლობის მქონე გამოიყენოს ძალა); დემაგოგები. ამგვარად ხდება საწარმოო ურთიერთობების კვლავწარმოება კაპიტალისტურ საზოგადოებაში, ანუ ურთიერთობის კვლავწარმოება ექსპლუატირებულსა და ექსპლოატატორს შორის; ექსპლოატატორსა და ექსპლუატირებულს შორის. მექანიზმი, რაც იძლევა ამ შედეგს, მმართველი კლასისი ინტერესებისთვის, შენიღბულია უნივერსალური სასკოლო სისტემით.

შეჯამების სახით ვთქვათ, რომ ეკლესია შეიცვალა სკოლით, როგორც დომინანტი იდეოლოგიური სახელმწიფო აპარატით. უპრეცედენტოდ ღრმა კრიზისი, რომელიც შეარყევს საგანმანათლებლო სისტემას, შეარყევს ოჯახის ინსტიტუტს და შეიძენს პოლიტიკურ მნიშვნელობას, შესაბამისად შეგვიძლია ვთქვათ სკოლა არის დომინანტი იდეოლოგიურ სახელმწიფო აპარატებს შორის და დომინანტი კაპიტალისტური საწარმოო ურთიერთობათა კვლავწარმოებაში.

იდეოლოგია

როდესაც წამოვჭერი იდეოლოგიური სახელმწიფოე აპარატების კონცეპცია და ვთქვი, რომ იდეოლოგიური სახელმწიფო აპარატები ფუნქციონირებენ იდეოლოგიით. საჭიროდ ჩავთვალე აქვე განმეხილა იდეოლოგია.

ცნობილია, რომ იდეოლოგიის პირველი განმარტება მოდის მატერიალისტი ფილოსოფოსებისაგან. მათი ინტერპრეტაციით იდეოლოგი არის იდეათა თეორია. როცა მარქსმა განიხილა ეს საკითხი, 50 წლის შემდეგ, არსებითად განსხვავებული დეფინიცია წარმოადგინა. მარქსის განმარტებით იდეოლოგია არის სისტემა იდეების და რეპრეზენტაციის რაც დომინირებ ადამიანის და სოციალური ჯგუფის გონებაზე.

იდეოლოგიას არ აქვს ისტორია

პირველი რაც უნდა ითქვას არის ის, თუ რატომ განვიხილავ იდეოლოგიის თეორიას ზოგადად და რა როგორც კონკრეტულ იდეათა თეორიას, რომლებიც თავიანთი ფორმით (რელიგია, ეთიკა, სამართალი, პოლიტიკა) ყოველთვის გამოხატავენ კლასობრივ პოზიციას.

ამკარა იდეოლოგიები დამოკიდებულია, ისტორიულ საზოგადოებრივ ფორმაციაზე/საზოგადოებრივ ფორმაციაში წარმოების ფორმაზე. ამ მხრივ ცხადია იდეოლოგიას აქვს ისტორია, რისი (დეტერმინაციაც ნათლადაა წარმოდგენილი), მაგრამ თუ იდეოლოგიურ თეორიას განვიხილავთ ზოგად კონტექსტში , ცხადად ქმნის იმ პარადოქსს, რაც მე შემდეგნაირად გამოვხატავ: იდეოლოგიას არ აქვს ისტორია.

ამგვარი ფორმულირება იდეოლოგიის მოდის მარქსის ნაშრომიდან The German Ideology. სადაც მარქსი აღნიშნავს, რომ იდეოლოგიას აქვს არა ისტორია, არამედ მორალი.

იდეოლოგია გაიგება ილუზიად, წარმოსახვად/წარმოსახვით კონსტრუქციად. იდეოლოგიის თეორეტიკული სტატუსი იგივეა, რაც სიზმრის სტატუსი ფროიდის შემდგომი პერიოდის ფსიქოანალიზში. სადაც სიზმარი არის უბრალო ილუზია ანუ 'day' residues (დღის ნარჩენი), წარმოდგენილი რიგ შემთხვევებში ქაოტურად, რიგ შემთხვევებში მოწესრიგებულად. სიზმარი არის წარმოსახვითი, ყოველგვარი შინაარსისგან დაცლილი, უბრალო ილუზია ყოველდღიური ცხოვრებიდან. ანალოგიური სტატუსი აქვს იდეოლოგიას The German Ideology- ში.

იდეოლოგია მარქსისტების არის წარმოსახვითი კრებულუ, რაც იქმნება ყოველდღიური ცხოვრების, კონკრეტული ისტორიის, კონკრეტული ინდივიდების მატერიალური ცხოვრების ანარეკლით.

The German Ideology-ის საბაზისო ნაწილი, რომ იდეოლოგიას არ აქვს ისტორია, გვაძლევს საშუალებას წარმოვადგინოთ შემდეგი

1- იდეოლოგია სხვა არაფერია, თუ არა ილუზია, რასაც ქმნის ის ვინც ფლობს ძალას/მმართველი კლასი

2-იდეოლოგიას არ აქვს ისტორია, არ ნიშნავს იმას, რომ მასში არ არის ისტორია.

თეზისი, რომელსაც ვიცავ, განსხვავდება The German Ideology-ის თეზისისგან.

ერთი მხრივ, მე ვფიქრობ, შესაძლებელია განვიხილოთ აზრი რომ იდეოლოგიებს აქვთ ისტორია, მეორე მხრივ, ვფიქრობ იდეოლოგიას, ზოგადად, არ აქვს ისტორია. ზოგად კონტექსტში, იდეოლოგიის თვისებაა დაუსრულებელი ფუნქციონირება, აქედან გამომდინარე არ ქმნის რაიმე სახის ისტორიულ რეალობას, მისი ფუნქციონირება წარმოჩინდება ისტორიულ რეალობაში, რაც კომუნისტური მანიფესტით განისაზღვრება კლასობრივი ბრძოლით. დავუბრუნდეთ სიზმრის ფროიდისტულ კონცეპტს, აქ უნდა ითქვას ჩვენი თეზისი იდეოლოგიას არ აქვს ისტორია პირდაპირ უკავშირდება ფროიდის თეზისს: არაცნობიერს არ აქვს ისტორია.

როგორც ფროიდი განსაზღვრავ არაცნობიერს- მუდმივს/გარდაუვალს წარმავალ ისტორიაში, ასევე გავიმეორებ ამ განმარტებას და ვიტყვი, რომ იდეოლოგია არის მუდმივი, როგორც არაცნობიერი და დავამატებ, ზოგადად არაცნობიერის მუდმივობა არ განცალკევდება იდეოლოგიის მუდმივობისგან. ეს არის ის რის გამოც განვიხილავ ზოგადად იდეოლოგიის თეორიას, არაცნობიერის თეორიის გაგებით.

ქვემოთ, გამარტივებისთვის განვიხილავ იდეოლოგიას ზოგად დონეზე, რაც როგორც აღვნიშნე არის მუდმივი/დაუსრულებელი მთელი ისტორიის მანძილზე (ისტორიის, როგორც საზოგადოებრივი ფორმაციის ისტორიის გაგებით).

იდეოლოგია არის რეალურ ყოფიერებასთან ინდივიდების წარმოსახვითი ურთიერთობა.

რომ განვიხილო ჩემი თეზისი იდეოლოგიის სტრუქტურასა და ფუნქციონირებაზე, წარმოვადგენ ორ თეზისს, პირველი არის ნეგატიური და ეხება

ობიექტს, რომელიც ასახულია იდეოლოგიის წარმოსახვით ფორმაში; მეორე არის პოზიტიური და ეხება იდეოლოგიის მატერიალურ მხარეს.

თეზისი 1- იდეოლოგია არის რეალურ ყოფიერებასთან ინდივიდების წარმოსახვითი ურთიერთობა.

ჩვენს ლექსიკაში არსებობს: რელიგიური იდეოლოგია, ეთიკური იდეოლოგია, სამართლებრივი იდეოლოგია, პოლიტიკური იდეოლოგია და სხვ. შესაბამისად არსებობს მრავალი მსოფლმხედველობა. იდეოლოგიას, როგორც ჩვენ განვიხილავთ არის "პრიმიტიული საზოგადოების" მითების მაგალითი, აქედან გამომდინარე არ შეეცდებით თუ ვიტყვით: ყველა ეს მსოფლმხედველობა არის წარმოსახვითი, არ შეესაბამება რეალობას.

როდესაც ვამბობ, იდეოლოგიები არ შეესაბამებიან რეალობას, ქმნიან ილუზიას, ახდენენ რეალობისგან გადახვევას, აუცილებელია მათი განმარტება (რეალობის აღმოჩენა წარმოსახვითი რეალობის მიღმა). არსებობს სხვადასხვაგვარი განმარტება. მათგან, ყველაზე მეტად, ცნობილია მექანიკური განმარტების ტიპი: "ღმერთი არის წარმოსახვითი ასახვა რეალური მეფის" და ჰერმენევტიკული ტიპი: "ღმერთი არის არსი ნამდვილი ადამიანის" მნიშვნელოვანი საკითხი, რასაც ჩვენ ამგვარის ილუსტრირებით შეგვიძლია მივალწიოთ არის ის რომ იდეოლოგიაში ადამიანი ასახავს საკუთარ რეალურ ყოფიერებას წარმოსახვითი ფორმით.

ასეთი განმარტებით, ჩვენს წინაშე დგება პრობლემატური საკითხი: რატომ ჭირდება ადამიანს, საკუთარი რეალური ყოფიერების ტრანსპოზიცია, რათა ასახოს საკუთარი რეალობა?

პასუხი, პირველი განმარტების ტიპიდან გამომდინარე მარტივად ჭრის ამ პრობლემას- სასულიერო პირები და დესპოტები არიან საკმარისად ჭკვიანნი, მათ მხრიდან გამოჰყედილი, ბრწყინვალე ტყუილი, დარწმუნება იმის რომ ისინი ემორჩილებიან ღმერთს, შესაბამისად ადამიანები უნდა ემორჩილებოდნენ მათ, ისინი არიან მუდმივ ალიანსში. სასულიერო პირები დესპოტების სასარგებლოდ და პირიქით. ამგვარი განმარტებიდან გამომდინარე, სწორედ ეს არის მიზეზი, ცხოვრების წარმოსახვითი ტრანსპოზიციის; მიზეზი რეალობის ფალსიფიკაციის, ადამიანთა მცირე ჯგუფის მხრიდან მასებზე დომინაციისთვის და ექსპლუატაციისთვის. მეორე პასუხიც, გამომდინარე განმარტების მეორე ტიპიდან, პასუხს სცემს ადამიანთა რეალური ყოფიერების წარმოსახვითი ტრანსპოზიციის მიზეზს, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს არ უკავშირდება სასულიერო პირების და დესპოტების მხრიდან რეალობის ფალსიფიცირებას. ამ განმარტებით ძირითადი მიზეზი არის ადამიანების

გაუცხოება მათსავე რეალურ ყოფიერებასთან. ეს ნაჩვენებია მარქსის ნაშრომშიც "ებრაული საკითხის შესახებ" , აქ მარქსი იცავს იდეას, რომ ადამიანები თავად ახდენენ საკუთარი თავის გაუცხოებას, რეალური ყოფიერებისგან, რადგან თავად რეალური ყოფიერებაა განმაუცხოებელი.

ახლა შემიძლია წარმოვადგინო ჩემი თეზისი- იდეოლოგია არ შეიცავს ადამიანის მხრიდან საკუთარი რეალური ყოფიერების ასახვას, ეს არის მათი ურთიელთობის უზრუნველ ყოფა იმ "რეალურ ყოფიერებასთან", რაც მათთვის იდეოლოგიაშია ასახული. ნებისმიერი იდეოლოგიის ცენტრალური საკითხია, ადამიანების ურთიერთობის უზრუნველყოფა, მასში რეალური სამყაროს წარმოსახვით ასახვასთან. მატქსისტული ენით რომ ვილაპარაკოთ, თუ ჭეშმარიტია-ინდივიდების რეალური ყოფიერების ასახვა ხდება მათ მიერ, ვინც ეწევა წარმოება, ექსპლუატაციას/ჩაგვრას (რეპრესიას), შეგვიძლია ვთქვათ შემდეგი: ყველა იდეოლოგია საჭიროების მიხედვით, დამახინჯებით ასახავს არა საწარმოო ურთიერთობებს, არამედ უპირველეს ყოვლისა ახდენს ინდივიდების ურთიელთობის ფალსიფიკაცია/დამახინჯებას საწარმოო ურთიერთობებთან. რაც წარმოდგენილია იდეოლოგიაში არის არა სისტემა რეალური ურთიერთობების (ეს ურთიერთობები მართავენ ინდივიდის რეალურ ყოფიერებას), არამედ წარმოსახვითი ურთიერთობები ინდივიდების, იმ რეალურ ურთიერთობებთან, რაშიც ცხოვრობენ.

რატომ არის ინდივიდის ურთიერთობა, რეალურ ურთიერთობებთან წარმოსახვითი და რა არის ამ წარმოსახვის ბუნება? ამ იდეოლოგიური მისტიფიკაციის ავტორთა გამოვლენა სცემს ამ კითხვებს პასუხს და მათზე ქვემოთ ვისაუბრებ.

თეზისი 2- იდეოლოგიის მატერიალური მხარე

იდეებს, წარმოდგენებს, რაც ქმნიის იდეოლოგიას, აქვს არა იდეალური (წარმოსახვითი) ან სპირიტუალური, არამედ მატერიალური არსი. ამის დასამტკიცებლად სათანადო, მკაცრი არგუმენტაციაა საჭირო.

ეს ჰიპოთეტიკური თეზისი: იდეებს და წარმოდგენებს აქვთ არა სპირიტუალური, არამედ მატერიალური არსი", საჭიროა იდეოლოგიის ბუნების ანალიზში წინსვლისთვის.

როდესაც განვიხილავდი იდეოლოგიურ სახელმწიფო აპარატებს, მე ვთქვი, რომ თითოეული მათგანი რეალიზდება (ფუნქციონირებს) იდეოლოგიით (ეს თავისმხრივ აერთიანებს სხვადასხვა სახის იდეოლოგიებს: რელიგიურ, ეთიკურს,

სამართლებრივს, პოლიტიკურს და ა.შ.), და წარმოადგენს მმალტველი კლასის იდეოლოგიას. იდეოლოგია ყოველთვის არსებობს აპარატებში; მათ ფუნქციონირებაში და მისი არსებობა არის მატერიალური. რათქმაუნდა, მატერიალური არსებობა იდეოლოგიის აპარატებში და მათ ფუნქციონირებაში არ განიხილება იმგვარად, როგორც მაგალითად, არსებობა რაიმე ხელშესახები ნივთის.

ახლა შეგვიძლია ვნახოთ თუ რა ხდება ინდივიდებთან დაკავშირებით, რომელნიც ცხოვრობენ იდეოლოგიაში, ანუ სამყაროს დეტერმინირებულ წარმოსახვაში, ინდივიდების წარმოსახვითი/დამახინჯებული აღქმა რეალობის გულისხმობს, საწარმოო და კლასობრივ ურთიერთობებთან მათ წარმოსახვით ურთიერთობას. აქვე უნდა ითქვას, რომ წარმოსახვითი ურთიერთობა მუდმივია. აქვს მატერიალური კონტექსტი.

ინდივიდას სწამს ღმერთის, საკუთარი მოვალეობის და ა.შ. ეს რწმენა მომდინარეობს მისგან, როგორც სუბიექტისგან, ვისაც აქვს ცნობიერებაში აღბეჭდილი საკუთარი რწმენის იდეა. ამ იდეის გამოვლინებას ახდენს იდეოლოგიური აპარატების ყოველდღიურ ფუნქციონირებაში. თუ მაგალითად ინდივიდს სწამს ღმერთის, ის დადის ეკლესიაში, ესწრება მესას, ლოცულობს, ასრულებს სხვა საეკლესიო რიტუალებს; თუ სწამს მოვალეობის არჩევს ცხოვრების შესაბამის წესს; თუ სწამს სამართლის აღიარებს კანონის უზენაესობას და კანონდარღვევა მასში იწვევს პროტესტის გრძნობას და ა.შ. სხვა იდეოლოგიურ აპარატებთან დაკავშირებით. ამ მაგალითების მიხედვით შეგვიძლია აღმოვაჩინოთ, რომ ინდივიდის რწმენა არის მუდმივი, ინსპირირებული "საკუთარი" ცნობიერებით. ამგვარად ინდივიდი თანხმდება იმოქმედოს "საკუთარი" ნებით "საკუთარი იდეების შესაბამისად". ამ შემთხვევაში ინდივიდი საკუთარ რწმენას განიხილავს თავისუფალ არჩევანად და ახორციელებს მას ყოველდღიურ მატერიალურ ცხოვრებაში.

თუ ინდივიდი არ იმოქმედებს საკუთარი რწმენის მიხედვით, ეს ნიშნავს იმას, რომ სხვა იდეალისტური სქემის მიხედვით, ავითარებს სხვა იდეას და იმოქმედებს მათ შესაბამისად.

ყველა შემთხვევაში იდეოლოგია ავითარებს იდეას, რაც ვლინდება ინდივიდის საქმიანობაში; იდეოლოგია საუბრობს იმოქმედებაზე, იმოქმედებაზე, რომელიც უნდა ხორციელდებოდეს ყოველდღიურ პრაქტიკაში. პრაქტიკა წარმართება იდეოლოგიური სახელმწიფო აპარატის მატერიალურ გამოვლინებებთან ერთად, რაც არის მცირე ნაწილი იდეოლოგიური აპარატების. მაგ: მესა ეკლესიაში, სასკოლო დღე სკოლაში, პარტიის ყრილობა და ა.შ. ანუ იდეები წარმოადგენენ ყოველდღიურ

ცხოვრებაში მატერიალური ქმედების/პრაქტიკის საფუძველს, რასაც განსაზღვრავს მატერიალური იდეოლოგიური სახელმწიფო აპარატი.

საკითხის ამგვარად განხილვით მივიღეთ სემდეგი: იდეოლოგია არსებობს მატერიალურ იდეოლოგიურ აპარატში, მოითხოვს მატერიალურ პრაქტიკას, რასაც წარმართავს მატერიალური რიტუალი. მატერიალური პრაქტიკა, სუბიექტის რწმენისა და ცნობიერების მიხედვით, ვლინდება მატერიალურ ქმედებაში. შესაბამისად ვიღებთ შემდეგ ცნებებს: სუბიექტი ცნობიერება, რწმენა, მოქმედება. ცნებების ამ სერიიდან ამოვიღებ ცენტრალურ საკითხს რაზეც სხვა დანარჩენია დამოკიდებული, ესაა სუბიექტის ცნება.

აქვე გამოვყოფ ორ თეზისს:

1- არ არსებობს პრაქტიკა იდეოლოგიის გარეშე.

2- არ არსებობს იდეოლოგია სუბიექტის გარეშე.

იდეოლოგია წარმოადგენს ინდივიდს როგორც სუბიექტს.

არ არსებობს იდეოლოგია სუბიექტის გარეშე, ეს ნიშნავს, რომ ნებისმიერი იდეოლოგია სუბიექტისთვის არის განკუთვნილი, მაგრამ ცხადად არსებობს ორმხრივი ურთიერთობა იდეოლოგიასა და სუბიექტს შორის/სუბიექტის კატეგორიას შორის. ეს ურთიერთკავშირი ვილინდება სუბიექტის კატეგორიით, იდეოლოგიის კატეგორიის განსაზღვრაში. ამ ორმხრივ ურთიერთობაში ფუნქციონირებს ყველა იდეოლოგია.

იმისთვის, რომ კარგად გავანალიზოთ ზემოთ თქმული, არსებითად მნიშვნელოვანი, გავანალიზოთ, რომ ის ვინც წერს ამ ფრაზებს და ის ვინც კითხულობს მათ ორივე არიან სუბიექტები (იდეოლოგიური სუბიექტები), ანუ ავტორიც და მკითხველიც სპონტანურად ან ბუნებრივად ცხოვრობს იდეოლოგიაში. იმ გაგებით, როდესაც მე ვამბობ რომ, ადამიანი არის იდეოლოგიური ცხოველი.

ცხადია რომ შენ და მე ვართ სუბიექტები, როგორც ნებისმიერი ჭეშმარიტება არქმევს საგნებს თავის სახელს, რომ შენ და მე ვართ სუბიექტები არის აშკარა იდეოლოგიური ეფექტი.

იდეოლოგიის სპეციფიკაა, რომ თავს გვახვევს ჭეშმარიტებას, როგორც ჭეშმარიტებას. ჩვენ არ შეგვიძლია ვუარყოთ ეს ჩვენი ქმედებით ვაღიარებთ მის ჭეშმარიტებას, ამას შეგვიძლია ვუწოდოთ იდეოლოგიის შემეცნებითი ფუნქცია. ამ

წინასწარი შენიშვნით შენ და მე ყოველთვის ვართ სუბიექტები. იდეოლოგიის შემეცნებითი რიტუალის მუდმივი პრაქტიკა განგვამტკიცებს ჩვენ, როგორც ინდივიდუალურ შეუცვლელ სუბიექტებს. გაცნობიერება, რომ ჩვენ ვართ სუბიექტები, რომლებიც ფუნქციონირებენ, ყოველდღიურ ცხოვრების პრაქტიკულ რიტუალში, გვანიჭებს შინაგან ცნობიერებას იდეოლოგიური შეცნობის, ანუ გვანიჭებს შეცნობის მექანიზმის ცოდნას.

ამგვარად იმის გარკვევისთვის, თუ რატომ ქმნის სუბიექტის კატეგორია იდეოლოგიას, კონკრეტული სუბიექტის, სუბიექტის ზოგად კონტექსტში წარმოდგენით, წარმოვადგენ სპეციალურ აღწერას: კონკრეტული საკმარისია შეცნობისთვის, მაგრამ აბსტრაქტული საკმარისია საფიქრალად და ცოდნის გასაზრდელად.

ფორმულირების სახით ვიტყვი: ყველა იდეოლოგია ასახავს კონკრეტულ ინდივიდს, როგორც კონკრეტულ სუბიექტს, სუბიექტის კატეგორიის ფუნქციონირებით.

იდეოლოგია ფუნქციონირებს სუბიექტების რეკრუტირებით ინდივიდებს შორის ან გარდაქმნის ინდივიდებს სუბიექტებად. იდეოლოგიის არსებობა და ინდივიდების სუბიექტებად ასახვა ერთიდა იგივე რამაა.

დავამატებ იმასაც რომ რაც, თითქოს ხდება იდეოლოგიის მიღმა, სინამდვილეში ხდება მის შიგნით, რაც ხდება მის შიგნით ის ხდება იდეოლოგიის გარეთ. იმათი მტკიცება კი, ვინც იდეოლოგიის შიგნითაა და აცხადებ რომ მის მიღმა იმყოფება, შეგვიძლია ავხსნათ იდეოლოგიის ბუნებით: იდეოლოგია არასდროს ამბობს, რომ იდეოლოგიაა

მაგალითი: ქრისტიანული რელიგიური იდეოლოგია

რადგან ფორმალური სტრუქტურა ყველა იდეოლოგიის არის ერთგვარი. მე წარმოვადგენ ჩემ ანალიზს ერთი კონკრეტული მაგალითით, იმ პირობით, რომ რელიგიური იდეოლოგიის მსგავსად შეიძლება მოხდეს ეთიკური, სამართლებრივი, პოლიტიკური და ა.შ. იდეოლოგიების დემონსტრირება.

მაშასადამე განვიხილავ ქრისტიანულ რელიგიურ იდეოლოგიას. შევეხები არამხოლოდ აღთქმებს, თეოლოგიას, ქადაგებას, არამედ მის პრაქტიკას, რიტუალებს, ცერემონიებს, საიდუმლოებებს. ქრისტიანული რელიგიური იდეოლოგია ამბობს მსგავს რამეს: მე წარმოგიდგენ ჩემ თავს შენ, ინდივიდუალურ ქმნილებას ვისაც ქვია

პეტრე, რათა გითხრა რომ ღმერთი არსებობს და შენ შეგიძლია პასუხი გასცე მას. ღმერთი მოგმართავს შენ ჩემი სიტყვით. ის ამბობს : ეს ხარ შენ, პეტრე! ეს არის შენი საწყისი, შენ შეგქმნა ღმერთმა მარადისობისთვის, ესაა შენი ადგილი მსოფლიოში, სიყვარულის კანონის დაცვა არის ის რაც უნდა გააკეთო, რათა გადარჩე, პეტრე, რათა გახდე ქრისტეს დიდებული სხეულის ნაწილი.

ეს რათქმაუნდ არის ძალიან მარტივი/ ჩვეულებრივი და ამავედროს გასაოცარი დისკურსი. გასაოცარი, რადგან ამით რელიგიური იდეოლოგია მიმართავს ინდივიდებს, რათა გარდაქმნას ისინი სუბიექტებად, (ინდივიდის, პეტრეს ინტერპრეტაციით) სუბიექტებად, რომელნიც არიან თავისუფალნი დაემორჩილონ ან არ დაემორჩილონ ღმერთის მცნებებს. ჩვენ თუ ამ ინდივიდებს მივმართავთ მათი სახელებით, ეს ნიშნავს, რომ ისინი უკვე არიან ინტერპრეტირებულნი სუბიექტებად, პერსონალური იდენტობით. როცა ხდება მათი ამგვარი ინტერპრეტირება სუბიექტი პასუხობს: დიახ, ეს ნამდვილად მე ვარ. როდესაც რელიგიური იდეოლოგია მათგან მიიღებს აღიარებას, რომ ადგილი რომელსაც ისინი იკავებენ, წარმოადგენს მათ ფიქსირებულ საცხოვრებელს, ის პასუხობს: ეს ნამდვილად მე ვარ, მე ვარ აქ, მუშა, უფროსი ან ჯარისკაცი. როდესაც რელიგიური იდეოლოგია იღებს მათგან, მათი ცხოვრებისეული დანიშნულების, ღმერთის უზენაესობისა და მისი სამართლის აღიარებას, ისინი განასახიებენ სიყვარულს. უნდა აღვნიშნოთ, რომ მთელი პროცედურა ქრისტიანული რელიგიის სუბიექტად ფორმირების, ხდება განსაკუთრებული ფენომენის, უნიკალური და აბსოლუტური სხვა სუბიექტის ანუ ღმერთის დომინირებით.

დროულია აღვნიშნოს ეს ახალი სუბიექტი დიდი S- ით, რათა განირჩეოდეს ჩვეულებრივი სუბიექტისგან, რომელსაც აღვნიშნავთ პატარა s-ით.

ამკარავდება, რომ ინდივიდების სუბიექტად ინტერპრეტაცია მოითხოვს სხვა უნიკალურ სუბიექტს (S), რომლის სახელშიც რელიგიური იდეოლოგია ახდენს ინდივიდების ინტერპრეტაციას. ეს ნათლად ჩანს ხელნაწერში, სადაც აღწერილია ღმერთის და მოსეს საუბარი. ღმერი უყვირის მოსეს „მოსე“! და მოსე პასუხობს: „ ეს მე ვარ მოსე, მე ვარ მოსე შენი მსახური, მესაუბრე და მე მოგისმენ შენ“. ღმერთი ესაუბრა მოსეს და უთხრა „ მე ვარ ის ვინც ვარ“.

ამგვარად ღმერთი საკუთარ თავს განსაზღვრავს „უპირატეს სუბიექტად“ (S), ის ვინც ახდენს საკუთარი სუბიექტის ინტერპრეტაციას. ისეთი ინდივიდის, რომელსაც ეწოდა მოსე და მოსე ინტერპრეტირებული სახელით, ცნობს, რომ ის „ნამდვილად“ არის ის რაც ღმერთმა უწოდა. აღიარებს რომ ის არის სუბიექტი. სუბიექტი,

გასუბიექტირებული ღმერთში. სუბიექტი სუბიექტით (S) და სუბიექტი გასუბიექტირებული სუბიექტში (S). მოსე უქვემდებარებს საკუთარ თავს და საკუთარ ხალხს ღმერთის/ სუბიექტის (S) მცნებებს.

შესაბამისად ღმერთი არის „უპირატესი სუბიექტი“ (S) მოსე და ურიცხვი სუბიექტები ღმერთის ხალხი, „უპირატესი სუბიექტის“ თანამოსაუბრენი; ღმერთის სარკე და ღმერთის ანარეკლი. განა კაცი არ შეიქმნა ღმერთის ხატად? როგორც ყველა თეოლოგიური ასახვა ამტკიცებს, მაშინ როდესაც ღმერთს ჭირდება ისინი („უპირატეს სუბიექტს“ ჭირდება სუბიექტები (s)) ადამიანსაც ჭირება ღმერთი (სუბიექტს ჭირდება „უპირატესი სუბიექტი“ (S)). უკეთ რომ ითქვას ღმერთს ჭირდება ადამიანი, „უპირატეს სუბიექტს (S) ჭირდება სუბიექტი (s), მაშინაც კი როცა ის წარმოადგენს არასრულფასოვან ხატებას ღმერთის (როცა სუბიექტი ჩავარდნილი გარყვნილებასა და ცოდვაში).

უკეთესი ილუსტრირებისთვის: ღმერთი აორებს საკუთარ თავს და თავის ძეს გზავნის დედამიწაზე სუბიექტად (s) , მაგრამ ამავე დროს „ უპირატეს სუბიექტად“ (S); ადამიანად, მაგრამ ამავედროს ღმერთად, რათა მოემზადებინა გზა ცოდვათა გამოსყიდვისთვის. ამდენად ღმერთს ჭირდება გარდაქმნას საკუთარი თავი ადამიანად, „უპირატეს სუბიექტს“ ჭირდება გახდეს სუბიექტი, იმისთვის რომ სუბიექტების თვალისთვის ხილვადი იყოს, იყოს ხელშესახები, რომ თუ ისინი არიან სუბიექტები გასუბიექტირებულნი „უპირატეს სუბიექტში“ , ეს არის მხოლოდ და მხოლოდ განკითხვის დღისთვის, რათა კვლავ დაუბრუნდნენ ღმერთის წიაღს (როგორც ქრისტე დაუბრუნდა „უპირატეს სუბიექტს“).

მოდით გავარჩიოთ თეორეტიკული ენით „უპირატესი სუბიექტის“ გაორების ამგვარი საჭიროება.

ჩვენ შევამჩნიეთ რომ ნებისმიერი იდეოლოგიის სტრუქტურა ახდენს ინდივიდის ინტერპრეტაციას სუბიექტად, უნიკალური, აბსოლუტური სუბიექტის (S) სახელით. შეგვიძლია ითქვას ვეხებით სარკისებულ სტრუქტურას, ეს სარკისებული დუბლირება არის არსებითად (ფუნდამენტურად) მნიშვნელოვანი იდეოლოგიისთვის იმდენად, რამდენადაც უზრუნველყოფს მის ფუნქციონირებას. ეს ნიშნავს, რომ ნებისმიერ იდეოლოგიაში „უპირატესი/აბსოლუტური სუბიექტი“ იკავებს ცენტრალურ ადგილს და ახდენს ირგვლივ ინდივიდების სუბიექტებად ინტერპრეტაციას, ორმაგი სარკის ურთიერთ კავშირში, ამგვარად ის ასახავს სუბიექტს „უპირატეს სუბიექტში“ , რითაც მათ შეუძლიათ განჭვრიტონ საკუთარი სურათი (აწმყო და მომავალი) და მას შემდეგ რაც ყველაფერი მოხდება მხოლოდ და მხოლოდ

„წმინდა ოჯახის“ ჩარჩოებში ღმერთი შეიცნობს საკუთარ თავს მასში, ანუ ის ვინც შეიცნო ღმერთი და საკუთარი თავი მასში გადარჩა.

მოდი შევაჯამოთ ყველაფერი ის, რაც აღმოვაჩინეთ იდეოლოგიის ზოგადი კონტექსტის ირგვლივ.

იდეოლოგიის ორმაგი სარკისებული სტრუქტურა ერთდროულად უზრუნველყოფს:

- 1- ინდივიდების სუბიექტად ასახვა
- 2- მათი დამოკიდებულება „უპირატეს სუბიექტზე“
- 3- სუბიექტთა და „უპირატესი სუბიექტის“ ორმხრივი შემეცნება, და ბოლოს სუბიექტთა მიერ საკუთარი თავის შეცნობა.
- 4- აბსოლუტური მტკიცება/რწმუნე იმის, რომ ყველაფერი ამგვარადაა და რომ სუბიექტთა მხრიდან იმის გაცნობიერების შემთხვევაში თუ რას წარმოადგენენ და მათი მხრიდან შესაბამისი ქმედების შემთხვევაში ყველაფერი იქნება კარგად. „დაე იყოს ასე“

შედეგი: სარგებელი ამგვარი სისტემის, ინდივიდთა სუბიექტებად ინტერპრეტირების, მათი დამოკიდებულების „უპირატეს სუბიექტზე“, უნივერსალური შემეცნების, აბსოლუტური მტკიცების (რწმუნება) არის ის რომ სუბიექტები „მოქმედებენ“, „მოქმედებენ საკუთარი ნებით“ შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში, გარდა „ცუდი სუბიექტებისა“ , რომელნიც არიან სახელმწიფო აპარატებისგან განცალკევებით, მაგრამ დიდი უმრავლესობა სუბიექტების მოქმედებენ შესაბამისად „საკუთარი ნებით“ ანუ იდეოლოგიით (რომლის კონკრეტული ფორმები რელიზებულია იდეოლოგიურ სახელმწიფო აპარატებში). ისინი ჩართულნი არიან ყოველდღიურ პრაქტიკაში, რასაც წარმართავს იდეოლოგიური სახელმწიფო აპარატების ყოველდღიური რიტუალი. სუბიექტები „აგნობიერებენ არსებულ ვითარებას“, „რომ ეს ყველაფერი არის ჭეშმარიტება და რომ ყველაფერი ისე უნდა იყოს როგორც არის“ და ისინი უნდა დაემორჩილონ ღმერთს , საკუთარ სინდისს, მღვდლებს, დე გოლს, უფროსებს სამსახურში და ა. შ.

დიახ, სუბიექტები მოქმედებენ „საკუთარი ნებით“ მთელი საიდუმლოება ამგვარი ეფექტის ძვეს პირველ ორ შემთხვევაში ზემოთ წარმოდგენილი სისტემის. სიტყვის ჩვეული ხმარებით სუბიექტურობა ნიშნავს: 1- თავისუფალი სუბიექტურობა, ცენტრი ინიციატივების, ავტორი და პასუხისმგებელი საკუთარქმედებაზე; 2- სუბიექტად ყოფნას, ვინც ემორჩილება უმაღლეს ავტორიტეტს და შესაბამისად განმარცვლი ყველანაირი თავისუფლებით, გარდა

იმისა თავისუფლად დაბრკოლებების გარეშე მიიღოს საკუთარი მორჩილება. ინდივიდი არის ინტერპრეტირებული, როგორც თავისუფალი სუბიექტი, იმისთვის რომ თავისუფლად, დაბრკოლების გარეშე დაემორჩილოს ბრძანებებს „უპირატესი სუბიექტის“ , ანუ ახორციელებს ქმედებებს საკუთარი მორჩილების ფარგლებში „საკუთარი ნებით“. არ არსებობს სუბიექტი, რომელიც არ არსებობს მორჩილებისთვის. ეს არის ის რის გამოც მოქმედებენ „საკუთარი ნებით“.

„დაე იყოს ასე“ ეს ფრაზა, რაც აღწერს მორჩილების ეფექტს ამტკიცებს რომ ის არ არის ბუნებრივი (იდეოლოგიური ინტერვენციის მიღმა). ეს ფრაზა ამტკიცებს, რომ ეს უნდა იყოს ასე ანუ როდესაც ფაქტები არის იმგვარად, როგორც ისინი უნდა იყვნენ: იმ სახით, როგორი სახითაც უზრუნველყოფილია საწარმოო ურთიერთობების კვლავ წარმოება, წარმოების პროცესში; იმ სახით როგორი სახითაც წარმოდგენილია ინდივიდი-სუბიექტი შრომის სოციალურ-ტექნიკურ დანაწილებაში, ექსპლუატაციაში, რეპრესიაში, იდეოლოგიზირებაში, და ა.შ. გარდა ამისა რა არის რეალური საკითხი „უპირატესი სუბიექტისა“ და სუბიექტებად ინტერპრეტირებული ინდივიდების სარკისებური შემეცნების მექანიზმში და აგრეთვე რწმუნებაში, „უპირატესი სუბიექტის“ მხრიდან სუბიექტებისთვის, როცა ისინი თავისუფლად იღებენ „უპირატესი სუბიექტის“ მითითებების მიმართ მორჩილებას? რეალური საკითხი ამ მექანიზმში არის რეალობის აუცილებელი (საჭირო) იგნორირება შემეცნების ნებისმიერ ფორმაში (იდეოლოგია= დამახინჯებით შემეცნება, იგნორირება). მოცემულ შემთხვევაში დამახინჯებით შეცნობა/იგნორირება საწარმოო ურთიერთობების კვლავწარმოების და ყველა იმ ურთიერთობის რომლებიც იმართება მათ მიერ.